არაა, სჯობს მისი გაცხადებულა გადაიდგოს“

**ზოგიერთი ამოცანა პირთა შემდგომი
ცხოვრების შესახებ (მოკლე დახასრულები):**

ზამბრი — თავი ჩამოიხრჩო.
პილატე — საბოლოოდ იგი მაინც გაათავისუფლეს
თანამდებობიდან, მოვალეობის ცუდად შესრულების
საბაბით. უკანასკნელ წლებში ხელი მიჰყო მემუარების
წერას.

კარტაფილსი — შემდგომში მოიხსენიება იოსებად.
ნაზარეველი თავგამოდებული მეგობარი გახდა.

ხანია — ამ ამბების მოხდენიდან ორ კვირაში
გაუქინიარდა.

როდი — გამათრახების შედეგად დაიღუპა.
იკუდა — რამში გადავიდა სამსახურში, მოქალაქეო-
ბა მისცეს, მაგრამ მალევე უარი თქვა და იერუსალიმში
დაბრუნდა.

ნათანი — სახლიდან წავიდა. რომელიღაც მონასტერში
ბერებს შეეგდლა. უკანასკნელი ცნობებით, კაბოსანი
მორჩილი იყო.

ლუბია — დააბატონრეს და ეკვიპტეში გადასახლეს.
სულანა — მონაზვნად აღიკვეცა, ოპტიონს უღამბონი.
მარიაშა — საეჭყო პერსონაჟია. იგი, სავარაუდოდ
არც არსებობდა, რადგან, ჯერ ერთი არსად მოიხსენიება,
მეორეც — საეჭყო მღვდელთმთავარს ცოლი ჰყოლიდა,
რადაცა შეეცდომა. ცნობილია მარიაშა, მხედართმთა-
ვის ცოლი.

იეშოა-ბარაბა — უცნობია მისი ასავალ-დასავალი,
თუმცა, ზოგიერთი გადმოცემით, ნებაყოფლობით ეცვა
ჯვარს ვიღაც ქრისტიანის სანაცვლოდ.

კლუდია პომპულა — საქართველოში გადაიხვეწა.



გია ლომაძე

ახალი გაბილონი

არსებობარი ლიდერი

როცა იგი ბოლოსდაბოლოს ქალაქში ჩამოვიდა, მას უცერად შეეძინდა ამ ევება ქალაქის. პატივმოყვარეობა, მისი ერთადერთი იარაღი და ფარი, საოცრად სუსტი, უბადრუკი ეჭვნა იმ მიზნის მისაღწევად, რაზედაც არაერთი ღამე ფიქრობდა იქ, სადაც, შავ-თეთრ მთებში შექმნილ სოფელში.

ტანად ჩია, ქროლათალებიანი, დაბადებიდან მჭეხერი თმით. ნოთელი გრძელსახელიანი პერანგი და უსახელი, მწვანე ვარდისფერ და თეთრზოლებიანი პულოვერი ეცაკუხიან თუთიყუშს გაედა, ეგზოტიკურ ჩიტს. ზოგი გამკვლევი ამკარა ღიმილით ათვლიერებდა. იგი გრძნობდა ამ ღიმილის მიზეზს და არასრულფასოვნების კომპლექსმა, რომელიც იქ, მთაში გაუხარებლად თვლემდა სადაც, სულს სიღრმეში, უცერად გაიღვია, პატივმოყვარეობას გადაეგრინა და ბოლმის გორგლად დაბვიია გულს. მტრული გახდა ქალაქი, რომლისკენაც ასე მოილოტოდა.

ხალხმრავალი ტროტუარის კიდეზე იდგა, ხელში პოკაუ ეჭირა, რომლის ჩაცმა არ უნდოდა, ვინაიდან სრული გრენებოდა ახლა. პიჯაკის გულის ვიბრაციით კოლმეურნეობის ვიზა-მიმართვა ედო სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტი ჩასაბარებლად, მაგრამ არც აპირებდა იქ მისვლას — სოფელთან მტკიცედ და საბოლოოდ განწყობა კავშირი უკვე. იგი პოეტად თვლიდა თავს, დარწმუნებული იყო თავის პოეტობაში და ასევე დარწმუნებული იყო, რომ ამ გარემოებაში ხელოვნება იყო ერთადერთი საშუალება ირგვლივ მყოფთა დასაპირცხებლად და ამ დიდი მტრული ქალაქის დასაპყრობად. იგიოდა, რომ მტკიცე უსიამო იყრი და გატრეგნობა ჰქონდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ პოეტები ერთადერთი არიან ამსყარობში, ვისაც ეს შეეძინა; უფრო მეტიც, უცნაურობისა და იდენტულების მისტურული შარვანიდ აფათა — სტანასთან კავშირის დასტური...

უნივერსიტეტში ჩააბარა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ვერ რეტორიკით შეიღწა რაღაცენაირად, საკუთარი ლექსები წაუკითხა და კოლმეურნეობის მიმართვაზე უნივერსიტეტში მიღების რეზიუმეცია დაადებინა. მისიღები გამოცდები ჩააბარა და აქ შიავრო შთავარის, რასაც ამ ქალაქში მისი ტოლების უმრავლესობა უფლებულყოფდა, აუფასურებდა, ფლანგავდა — დროს! არ უნდა დეკარვა არც ერთი დღე, საათი, წუთი და წამი, არ უნდა ჰქონოდა თავისუფალი დრო, არ უნდა დაიმორჩილებოდა სხულის მოთხოვნილებებსა და ჩივილს, უნდა დაექვემდებარებინა დროის მინდარება, დაემორჩილებინა იგი... და იგი წერდა, კითხულობდა, უბის წინვაკი იხსებოდა ელასიკოსებისგან ამონერული ფრაზებით, ციტატებით, შესაბამისად ევსებოდა გონება სხვათა ნაფიქრალითა და გამოცდილებით. იზეპირებდა

მითოლოგიურ, ტერმინოლოგიურ, უცხო სიტყვათა ლექსიკონებს.

იგი ნაკითხი გახდა, რამაც მისი არასრულფასოვნების კომპლექსისგან და პატივმოყვარეობისგან ლოგიკურად გამომდინარე, ირინი-ულობა, ცინიკურობა შესძინა; ჯერ გაუმხელელი, მაგრამ გამზადებული, ჩასაფრებული, შემართული...

სტუდენტული ცხოვრებაზე უარი თქვა; გამოეცნა უნდაო, განზე დგომა თანატოლთაგან და დადგა კოდეცოცდათ მანეთად თვეში სადაც, ლოტკინის მთაზე ნახევრად სარდაფში. ბინის ქირაზე ცოტათი მეტი ყოველი თვის პირველ რიცხვში ჩამოჰქონდა მისი სოფლის ავტობუსის მიღობს, მისივე შორეულ ნათესავს. ფულს იქ, მთაში მარტოდ დარჩენილი ქალი — დედაბისი უგზავნიდა; უძილო, ფიქრიან ღამეებში ქსოვდა წინდაწინ, ხელთათმანებს და ასევე მასზე ფიქრით ყიდა მერე გზისპირას, შვე ქანდაკად ქვეულთ, უღელტეხილზე ამვლელ-ჩამვლელ ეგზოტიკური სუვენიერების მოყვარულ ტურისტებზე.

მეგობარი არ ყავდა. ვინაიდან თვითონ იყო საკუთარი თავის ერთადერთი მეგობარი. ასაკობრივ ლტოლვას ქალებისადმი გონებაშივე თრგუნავდა ფიქრით, რომ მერე აინაზღვრებდა ყველაფერს, როცა აიძულებდა მათ, ეცნოთ იგი, ელიარებინათ მისი უპირატესობა იმ წარმოსადეგ, ცარიელ, პრიმიტიულ ვიგინდარებზე, რომლებსაც ახლა ამჯობინებდნენ. მაგრამ მაინც ვერ უტოვდა სხუელს და საოცარი სიმამგე მოუვლიდა ხანდახან, ლამაზ წყვილს რომ დაინახავდა და ღამით თავის ნახევრად სარდაფში მწოლს უწიდებოდა სურვილი, მძაფრი, როგორც მგლის ყმული, გაეუპატოურებინა ყველა ღამაზე ქალი...

სამიოდ წლის შემდეგ გამოაქვეყნა პირველი ლექსები, ჩვეულებრივი — უჩვეულობის პრეტენზიით. ერთი წლის შემდეგ პოეტური კრებულები გამოცხა — თუმა პატრიოტიკში (ხელოვნური ინანიზმი მინაიკთა ხელში). ოფიციალურმა კრიტიკამ ქარბორბალსავით გდაფარა მის პირველ წიგნს, ლამის სისტემის მტრად შერაცხეს იგი, რამაც დაუყოვნებლივ უსძინა მკითხველი და თავყანისმცემელთა ჯარი. ერთხელ ვიღაცამ მიაცილა სახლში და მისი ნახევრად სარდაფი იხილა და დაუყოვნებლივ შეიქმნა, გაერცვლა მითი ახალგაზრდა, ნიჭიერ, უანგარო პოეტზე, რომლისთვისაც არაფერი არსებობს მინიერი. შემოიქილდნენ, ხელმონერები შეავროვის მისთვის ერთობაიანი იზოლარებული ბინის გამოყოფაზე ქალაქის ახალ უბანში. შედეგად მიადწიეს, მაგრამ მან ბინაზე უარი განაცხადა საჯაროდ, სახალხოდ იმ მოტივით, რომ „ბოლშევიკებისგან“ არფორის მიღება არ სურდა. მიტინგომანიით და მანიფესტაციებით დაბან-





გულმა ბრბომ ხელში აიტაცა თავისი უკვე საყვარელი პოეტი...

და იგი ალაპარაკდა: ჯერ ძენნად, დაფიქრებულად (ყველა სიტყვა გააზრებული, გადამონერილი უბის ნიგ-ნაკიდან), მერე კი,, მიტიგამიანიის ზრდასთან ერთად, მძაფრად, აღმფოთებით და რისხვით, ზომიერად გაჯერებული დემაგოგიით და პოპულიზმით.

იგი ეგზალტირებული ბრბოს ნაწილად იქცა, ოღონდ ერთ-ერთ მთავარ, გაკერპებულ შემადგენელ ნაწილად. უცერად წარმოქმნილი უთვალავი ეროვნული კომიტეტის თუ ორგანიზაციის წევრი გახდა, თანდათან ჩამოყალიბდა, შეიქმნა საყოველთაო შიშობარის ერთ-ერთი ლიდერად...

და უერად, თითქოს საათი მონიწივე, ძილის წინ მომართული და ყურზე მიდებით შემონმებული, გაღვიძებამდე დროის რომელიღაც მონაკვეთში უხილავი, გაუფგებარი მიზეზით გაჩერებული, იგი ვაჩერდა — გარდაიცვალა ძილში, ბრეზენცის გასაშლელ სანოლზე ლეკვივით მობუზული, ჭრალი, სიფრიფანა სახნის ქვეშ. ადრე დილით მემანენე ქალმა, როცა ჩვეულებრივ, სარდაფის ჩასასვლელში სუფთად გარეცხილი ქილა არ დახვდა, ჯერ დაუძახა თავის ერთგულ მუშაკს, მერე კარი შეღო და პირველმა ნახა მიცვალებული...

მერე კი შემუნებელი სახლის პატრონი, დილიდანვე დაღლილი, ცხოვრება-გამბრებელი უბნის ინსპექტორი, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მანქანა და გზა მორგისაკენ სიკვდილის მიზეზის დასადგენად, შუშვდკ კი მონაცხილური ქალადი, გარდაცვალების მონიშნა — საბოლოო ანგარიშსწორება სახელმწიფოსა და მოქალაქის შორის...

დიდხანს ეძებდა მისი გზებზე ნახეტალიები, თეთრი ძაღლივით ტალახში ამოძუნძული ავტობუსი ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოს. ორნი იყვნენ მანქანაში: მძღოლი (ბანჯგვლიანი ხელებით საცქის ჩაფრენილი, ავტონისპექტორის მუშაეებით დაშფრთხალა: „სად გამოცეცა ავტობუსი, ბატონო? ასეთ საქმეზე ვართ ჩამოხლებნი...“) და შავი ვანდაკი — პოეტის დედა; გაოცებული, კალათში ჩანყობილი გამომშრალი, ჩირქებისგან დასვენებული ზღვებით.

ნაბადში გაბვეული, გამხდარი, მჩაბტე, ცივი, გაკვეთილი და სიკვდილის მიზეზუდადგენილი (გულის უქმარისობა!) იდო ავტობუსის უკანა სავარძელზე. თუთან ადამიანი ეფდა — დედა, ერთადერთი, ვისაც უყვარდა და როგორც ყველა დანარჩენმა, არ იცოდა, თუ როგორი იყო იგი სინამდვილეში, სანამ ცოცხალი იყო. პატარა ბიჭი რომ იყო, ჩუმი, წყნარი შვილი, ეგ იცოდა მხოლოდ...

იგი კი ინვა ნაბადში გაბვეული ავტობუსის უკანა სავარძელზე. ინვა ცივი და გამეშებული და პირველად არ ცხვენოდა დედამისთან ერთად საზოგადოებაში ყოფნისა...

თეთრი ავტობუსი ნელა მიიკვლევდა გზას, გასასვლელს ეძებდა დიდი ქალაქის ქუჩათა ლაბირინთიდან;

გასასვლელს მაღალი სახლების გადაღმა, შორს სილურჯები აღმართული, გორიზი ამაყი შავ-თეთრი მთებისკენ.

ხარი

რძის პროდუქტების მაღაზიაში იაფფასიანი ყველი მიიღეს. ხის კასრებით დატვირთული საბარგო მანქანა ჯერ კარებთან არ იყო მიმდგარი, რომ ყველის მსურველთა რიგმა ჩამოყალიბება დაიწყო ყველის სექციის დახლიდან მაღაზიის შესასვლელის გავლით, გარეთ, ქუჩაში. რიგში მდგარი მოქალაქეები ხარის ცნობისშეყვარეობით ადევნებდნენ თვალყურს კართან მოჯავჯვრო მალაზიის მუშებს.

— ყოველ მომხმარებელზე ორი კილოგრამი მთავრება — განუცხადა რიგში მდგომი რძის პროდუქტების მაღაზიის დირექტორმა. ამ გადაწყვეტილებამ რიგის თავში აშკარა უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია, ხოლო ბოლოში კმაყოფილება და მონიშნება დაიმსახურა. რიგის უკან მდგომი მოქალაქეები ნეიტრალურნი იყვნენ და ყოველგვარი ემოციის გარეშე აღიქვეს ეს გადაწყვეტილება.

ყველი თავს კასრები სატვირთო მანქანის ძარიდან ჩამოცალეს, მაღაზიაში შეაგორეს და ათიოდ ნუთში კარებში ცვლიფის პარკებში ჩაწყობილი ორ-ორი კილოგრამი ყველის პირველი ზედწილი მფლობელებიც გამოიშენენ, რამაც რიგში მდგომთა გამოცოცხლება და აურიაშეღება გამოიწვია.

სოლიდურბამ, მოყვანიის მიმართ სიყვარულმა დაიხადგურა ყველის მსურველ მოქალაქეთა სულეზში. ნაცნობობაც გამოიძებნა ერთმანეთში, დაიწყო მიკითხვა-მოკითხვა, ვამოკითხვა, ძველი დროც დაიხსენეს, მომავლის იმედებიც დაიხსა. ერთი სიტყვით, ყოფითმა იდილიამ დაიხადგურა.

მაღაზიიდან გამოსულ ყველნაყიდ მოქალაქეთა ნაკადმა საგრძნობლად იმატა, რამაც შეეფოთება გამოიწვია რიგში მდგომთა შორის.

— მთელი მაღაზია ყველზე გადაირთო, სამი გამყიდველი მუშაობდა — დაამწვიდა აღუღველებლი ხალხი კარებში გამოჩინებლა დირექტორმა. — შესვენების გარეშე ვიმუშავებთ! — ამ განცხადებამ კი ლამის ექსტაზში ჩაყარა მოქალაქეები.

შუადღევად რიგი ტაბაბლურად, კონვიერულად მომართობდა. კაცზე ორი კილოგრამი — შვიდადა და წყნარად, ყოველგვარი ექსცესისა და ვენებათაღვლების გარეშე. მაგრამ უცერად უკიდურესად შეიცვალა მდგომარეობა, როცა გარეთ ხმა დაირხა, ყველი თავდებაო. რიგი შემჭიდროდა, აიძარა, საურბრელი შეწყდა, აგი დემილი ჩამოწვა, შეიცვალა დამოკიდებულმა მაღაზიიდან გამოსული ყოველი ყველმეშენილი მოქალაქის მიმართაც. რიგში მდგომნი მართლი, კლასობრივი სიძულვილით განმსვალული, ეჭვიანი მჭრელი აცილებდნენ მალაზიიდან გამოსულებს და ისინიც ხელში მუხანათურად გამჭირვალ ცვლიფის პაკეტით და ორ-ორი კილოგრამი ყველით, თავჩაღუნულნი სწრაფი ნაბიჯებით ევლდობდნენ რძის პროდუქტების მაღაზიის შემოგარენს.



— თითო კილოგრამი თითო კაცზე! — გაისმა მონოდემა რიგის ბოლოდან, რაც დაუყოვნებლივ აიტაცა რიგმა და ჯავჭავიური რვაქციით ქუჩიდან მაღაზიის შესასვლელის გაკეცილი დახლამდე, ხოლო იქიდან მაღაზიის დირექტორამდე მიიტანა.

მოუხედავად რიგის დასაწყისში მდგომთა ცხარე პროტესტისა, სრულიად რიგის მოთხოვნა გაითვალისწინეს და გადანიკეტებლბაც უმრავლესობის სასარგებლოდ მიიღეს, რითაც დედული რიგში ჩაიტანა, მაგრამ დაძაბულობა ვერ მოიხსნა და სულ რაღაც ათიოდ წუთში რიგში მდგომნი ლამის ერთმანეთის მოსისხარ მტრებად იქცნენ. ყოველი მოძრაობა, გამობედევა, სიტყვა მძაფრი უარყოფითი რეაქციის გამოწვევად ფაქტორად იქცა და, როდესაც ეტემა, უნდობლობა, ლეგირმლიანობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, რიგის ბოლოში გამიზადრი, საშუალოზე მაღალი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. თეთრი გრძელი მოსასხამის მსავალი ლაბადა ეტევა, ხშირი, ნახლისფერი, შუაზე გაყოფილი თმა მხრებზე უფარავდა, თავი მაღლა ეჭირა, მსუბუქი, ნელი ნაბიჯით გაცდა რიგის ბოლოში მდგომთ.

— ანა, ახალგაზრდავ?! — შეუძახა ვიღაცამ. ახალგაზრდა კაცს არც გაუგია შეძახილი. ისევ ისე ნელა და თავანუული მიდიოდა მაღაზიის შესასვლელისკენ.

— სად მოდის? გააჩერეთ! რიგში ჩადგეს! — აიძვარა, ახმაურდა, ბილბის და ბალღამი გადმოახიხია რიგმა.

რიგის შუამდე მისული ახალგაზრდა კაცი უცერად შედგა, მიზრუნდა, მწვანე თვალბეჭით მშვიდი მჭერა მოავლო რიგში მდგომ მოქალაქეებს, ფერმკრთად სახეზე უცნაური ღიმილი დათამაშებდა.

— უნდა დავრეკო. — თქვა ჩუმად და გზა განაგრძო.

— რა, რა მიწაა? — იფიქრა რიგმა. — დარეკვა თუ უნდა, ქუჩიდან დარეკოს. ტელეფონების მეტი რა დგას ქუჩაში? აფერისტია, თაღლითია ვიღაცა! გააჩერეთ, არ გაუშვათ!

ახალგაზრდა კაცი ვიუტად მიინფედა წინ. მოუხედავად კარში მდგომი მოქალაქეების მცდელობისა, ხელით შეჭერებინათ, თითქოს მათ შორის გაიარა, მაღაზიაში შეღწიხა, იქაური რიგში მდგომთაც გაცადა და დახლთან გამომეხულ გამყიდველთან გაქრდა.

— შეიძლება დავრეკო. — ჰკითხა სასწორის მიჩერებულ გამყიდველს. — დარეკვა მინდა, ვერ დამარტყნიებთ? — გაუშეორა ახალგაზრდა კაცმა.

— იქეთ! — თავი გაიქინა გამყიდველმა. — ტელეფონი დირექტორის კაბინეტშია, იქიდან დარეკავ.

— გეაღებოთ, აქედან დავრეკავ! — თქვა ახალგაზრდა კაცმა; მშვიდი ღიმილით მოაგლო მჭერა დაეჭებულ და ავად გარინდაულ მოქალაქეებს, უბეში ხელი ჩაიყო, იქიდან ბრინჯაოს პატარა ზარი ამოიღო, თავს ზემოთ აღმართა და ხელი გაიქინა.

წერიალა, სუფთა ბგერებმა გაკვეთა ავი სიჩუმე და განდევნა იგი მაღაზიის დაბლაზიდან. ახალგაზრდა კაცი ზარის რეკვით დაიძრა გასასვლელისკენ.

მისივლდა გამომეხული, თავგანდასხილი რიგის გასწორივ და მიუხეობით ადამართულ ზარს ანკარუნებდა. წერიალა ბგერებისგან შერბეული ჰაერი ტალღბეივით ევლებოდა რიგში მდგომ ადამიანებს და ყოველი ბგერა, ყოველი

ტალღა თითქოს ზოდმის, სიძულელიის, შურის, ეჭვის ნიღბს ხდიდა, აძრბობდა სახებოდან თითოეულ მათგანს და ყოველ სახეზე ინდივიდუალური განმეორებლობის, უნიკალურობის ნიშანი იკვეთებოდა.

გრემდომიანი, მწვანეთვლებიანი, თეთრლაბადიანი თუ თეთრნოსასხამიანი ახალგაზრდა კაცი რიგის ბოლოში გავიდა და ისევე უცერად, შეუძრეველად გაქრა, როგორც გამოჩნდა. ზარის წერიალა ხმა თანდათან მიინაგლა და მაღლა ჰაერს შეერია.

ექვემოთ კი, რძის პროდუქტების მაღაზიასთან, მღუმარე რიგი დარჩა ისევე ერთმანეთისგან განცალკევებულ ადამიანებად ქცეული და ასევე ცალ-ცალკე ჩაფიქრებულ საკუთარ თავზე და რაღაცა უფრო მთავარზე, უცნაურზე, ჯერ მეუცნობსა და გაუაზრებელზე.

თვალნათლივი მაგალითი

სახელმწიფო ცირკის შემოგარენში განლაგებულმა ოპოზიციურმა ძალებმა დიდი აურზაური და ზრიალი ატყეს: „მთავრობის სახლიდან რეაქტორული ქუჩური — „მუხა“ გვესროლეს და მშვიდობიან მანიფესტანტებს შორის არაინ დაჭრეს და დახოცილნი, ძირითადად ბავშვები, ქალები და მოხუცები“.

მთავრობა იძულებული გახდა სპეციალური განცხადება გაეცეთებინა ოპოზიციის მხრიდან მორიგი პროვოკაციის შესახებ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ვერაფერი დააჯერა; პირიქით, ქორეზმა, მოქემა-მოქემა, პროტესტმა და საზოგადოებრივმა მღელვარებამ კიდევ უფრო მომატა.

— ეს რა ხდება, რა ამბავი ატყეს, ბატონო პოლკოვნიკო? — ჰკითხა კაპიტანმა ვალერი ჭანკოტაშვილმა სახმელეთო ჯარების სარდალს. — როდის იყო „მუხა“ სამ კოლომეტრზე ისროდა?

— აბა? — შეხედა კაპიტანს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობამდე და ხელისუფლებაში მოსვლამდე ღმობნათის ქარხნის ჩამომსხმული საამქროს უფროსმა, ამგამად კი სარდალმა, პოლკოვნიკმა ჭაჭუ ბაზუხაიამ. — რა იცი შენ?

— როგორ, რა ვიცი?! — გაიკვირვა კაპიტანმა ჭანკოტაშვილმა. — მაგის მეტი კი არაფერი მიკეთებია საბჭოთაა ჯარში.

— იმპერიულ ჯარში! — შეუსწორა სახმელეთო ძალების სარდალმა.

— მაგის მეტი რა მიკეთებია იმპერიულ ჯარში? — მიილო შენიშვნა კაპიტანმა. — „მუხა“ ანუ ერთჯერადი გამოყენების ყუმბარმტყორცნი „რპგ-18“, 150-200 მეტრზე ისვრის მხოლოდ; ესე იგი, მისგან გასროლილი ჭურვის მოძრაობის ტრაექტორია მაქსიმუმ 200 მეტრით შემოიფარგლება. მთავრობის სახლიდან ცირკამდე კი, სადაც მაგნიტ დგანან, სამი კოლომეტრია.

— რა იცი შენ?

— გაზომილი მაქვს, ბატონო. ჩვენი მიტინგებისას სულ მაგ გზით დავდიოდი და მანძილი ყველა სახელმწიფო ობიექტს შორის სულ ნაბიჯ-ნაბიჯ მაქვს გაზომილი. ჩვევა მაქვს ასეთი.

— უყურე შენი! — გაუხარდა პოლკოვნიკი ჭაჭუ ბაბუხადისა. — შენ არსად დამეკარგო დღეს. — ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა კაპიტან ქანკოტამოსს. იმავე საღამოს სამთავრობო სიანდორმატო გავა-ცემის ტელედიქტორმა საპარადო მუნდირში გამონყო-ბილი სახმელეთო ჯარების სარდალი, პოლკოვნიკი ჭაჭუ ბაბუხადისა ცოცხალ ეთერში წარუდგინა ტელემეაყურე-ბლებს.

— მეგობრებო! თანამემამულენო! — ყოველგვარი მისალმებისა და ზედმეტობების გარეშე დაიწყო ჭაჭუ ბაბუხადიამ. — ეგრეთ ნოდებულო, დემოკრატიული ძალების, სინამდვილე-ში კი კრემლის აგენ-ტების უტიფრობამ, თავებდობამ, მატყუარო-ბამ, არამზადობამ და პროვოკაციებმა ყოველგვარ ზღვარს გადა-აცილა. მონობაში და-ბადებულ და გაზრ-დილ, კრემლის საძოვ-რებზე მიშვებულ ნაბ-ირს არ სურს თავისუ-ფლება და დამოუკი-დებლობა. თავისუფ-ლება ხომ „ლომთა ხვე-დრია“? მაგრამ ისინი და მათი დამკვეთები კრემლიდან ვერასდ-როს დააჩოქებენ თა-ვის უფლების თვი-სებრძოლი ვინ არიან ისინი? მე გეკითხე-ბით: ვინ არიან ეს



მხატვარი სოფო ელიაშვილი

კაცუნა-მარიონეტები, ცირკთან რომ შეგროვილან? ხომ არ უნდათ, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა ისევ კომუ-ნისტურ ცირკად აქციონ? ცირკის „როფიკებიით“, ანუ „კლოუნებივით“ მასხრად აიგდონ ჩვენი სულმნათი წინაპრების წმიდათა-წმიდა სახელები? ვინ არიან ეს მართლაც და ცირკის ტაქომასსრები? ვინ უდგას მხარში ამ ტაქომასსრებს, ნარკომანებს, კრიმინალებსა და დეკლა-სირებულ ელემენტებს? ვინ და კრემლის ხსენით გამოკე-ვიბო, გასუქებული, ეგრეთ ნოდებული, ინტელიგენცია ნითულ პროფესურასთან ერთად! — ექსტაზში შესულმა სახმელეთო ჯარების სარდალმა პოლკოვნიკმა ჭაჭუ ბაბუხადისა უფრო მოითქვა, წყლით სავსე ჭიქა ბოლომდე დაცალა, რის შემდეგაც შედარებით დამცხრალი ხმით განავრძო:

— მეგობრებო! თანამემამულენო! ის, რაც ამ არაკაცებმა ჩაიდინეს სამი დღის წინ, ყოველგვარ ზღვარს ცოლდებო. თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენმა, ხალხის მიერ ერთსულადიანად არჩეულმა პრეზიდენტმა, ერთი კვირა მისცა მემამბოხეებს გონს მოსაგებდ და სანამ გვიან არ არის, ჭკუებზე მოსახველია. ყველა სახ-ელმწიფო, საბრძოლო შენაერთმა მიიღო პრეზიდენტის, ანუ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალის ბრძანება, დაიც-

ვან სამკილომეტრიანი დისტანცია ცირკთან დის-ლოცირებულ მემამბოხეებამდე; რასაც განუზრდელად ვასრულებთ თითოეული ჩვენგანი. ეგ კი არა, მილიცი-ასაც, ანუ სახოვადიუბრივი ნესტრიგის დამცველებსაც აეკრძალათ მათთან მიახლოება. პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილების მიზანი ნათელია — ჩვენი დიალოგზე ვინცევი ოპოზიციას. მაგრამ, ვინაიდან მათ საღამოსაც არაუფრო აქვთ, აი, რა მოიძოქმედეს ამ არაკაცებმა სამი დღის წინ: პროვოკაციის მიზნით თვითონვე ესროლეს, ეგრეთ ნოდებულო, მუხა თავის მიგრე შეკრებილ, მოტყუებულ ადამიანებს, ესროლეს მოხუცებსა და უმანკო ბავშვებს, ეს-როლეს სამშობლოს მო-მავალ თავისუფლებს, რითაც თვითონვე გა-მოიპყარავეს თავი.

როგორც ზემოთ მო-გახსენეთ, ჩვენი პრე-ზიდენტის ბრძნული გადაწყვეტილებით, ჩვენ და, ეგრეთ ნოდე-ბულ, ოპოზიციის შეა-რადებულ ზროვას, სა-მკილომეტრიანი ნეტ-რალური ზოლი გვე-ოფს და თუ როგორ ეე-სროლეთ ამ პროვოკა-ტივებს სამი კლო-მეტრის სიშორიდან „მუ-ხა“, ამას თვალნათ-ლივ, სამავალითოდ ავიხსენით ჩვენი შეა-რადებული ძალების წარჩინებული ოფი-

ცერი, კაპიტანი ვალერი ჭანკოტამეილი. სახმელეთო ჯარების სარდალმა პოლკოვნიკმა ჭაჭუ ბაბუხადიამ მარჯვენა ხელი კადრსმილა გამოვირა, ხელს ტელეობიექტივი გაყვა და ტელემეაყურებლების წინაშე სრულად საბრძოლო ეკვიპირებული კაპიტანი ვალერი ჭანკოტამეილი წარსდგა, თავზე მუხარადით, კომუ-ფლერებულ ფორმით, ქამარზე დაკიდებული პისტო-ლტის ზუდი და მხარზე გადებული ხელის რეაქტიული ყუმბარამტყორცნით — „მუხით“.

— კაპიტანი ჭანკოტამეილი! — მიმართა სარდალმა ოფიცერს. — წარუდგინე ტელემეაყურებებს „მუხა“ და აუხსენით მისი დანიშნულება, გამოყენების წესი და საბრძოლო პარამეტრები!

— არის! — მუხარადთან ხელი მიიტანა და ქუსლები გაატკაცუნა ვალერი ჭანკოტამეილი. „მუხა“ მხრიდან ჩამოიღო, მკურდზე მიიბჯინა და ტელეობიექტის მიუშვირა.

— ეს არის პორტატული რეაქტიული ყუმბარამტყორც-ნი, — დაიწყო კაპიტანმა. — „რპ-18“. ეგრეთ ნოდებულ მუხა ინდივიდუალური საბრძოლო იარაღია, გამოყენებით ერთჯერადია; მისი ყუმბარა კუმულატიურია და აფეთქებისას ავითარებს 2000 გრადუს ტემპერატურას



ნულს ზემოთ, ცელსუსით, რა თქმა უნდა. ყუმბარის მამოძრავებელი ძალა რეაქტიულია და ნაშში 115 მეტრ სიქქარზე ავითარებს. ყუმბარმტყორცნი საბრძოლო მდგომარეობაში ორ კილოგრამაა და ექვსას გრამს იწონის. მისი სიმაღლე საბრძოლო, გაძლიერ მდგომარეობაში მეტრი და ხუთი სანტიმეტრია. სროლის მაქსიმალური სიძორე, ანუ ყუმბარის მოძრაობის მაქსიმალური ტრეკტორია 200 მეტრია. „რპგ-18“ ანუ „მუხა“ ნარმატებით და ეფექტურად გამოიყენება ყველა სახის ჯავშანმანქანისა და ტანკის წინააღმდეგ, აგრეთვე მონიწილადევის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად და ხანძრის კერების გასაჩენად.

ახლა კი, ძვირფასო ტელემეაყურებლებო, გავჩვენებთ, თუ როგორ ხდება გასროლა. — კაპიტანმა ვალერი ჭანკოტაშვილმა ყუმბარმტყორცნის სამიზნე, იგივე საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის მექანიზმი შეაყენა.

— აი, ხედავთ, ნითელი ნათურა აინთო. — თითო მინაინმა ცალთვალმოჭუტულმა კაპიტანმა. — რაც იმას ნიშნავს, რომ იარაღი სრულ საბრძოლო მდგომარეობაშია. ნათურა ოცდახუთ ნაშს იციმციმებს კიდევ. ეს მოძრაი ობიექტის დასამიზნებლად გამოყოფილი დროა. მებრძოლი, ანუ მსროლელი სწორედ ამ ოცდახუთ ნაშში უნდა ჩავტვიოს. თუ ამ გამოყოფილ დროზე ადრე ამოლო ობიექტი მიზანში, შეუძლია სასხლეტის თითი გამოკრას, თუ არადა, ისეა მონყობილი, რომ ოცდახუთი ნაშის ვასკლის შემდეგ თავისით გაისრის რეაქტიული ჭურჭს და თავის საქმეს გააკეთებს. აი, ხედავთ, როგორ ციმციმებს ნათურა? იგი არ იციმციმებდა, იარაღი დატენილი რომ არ იყოს; ანუ ეს ციმციმი იმას ნიშნავს, რომ ყუმბარმტყორცნი, რომელიც ხელში მიჭირავს, დატენილია, სრულ საბრძოლო მდგომარეობაშია და დარჩენილ ათ ნაშში თავისით გაისრის!

— რას შერებთ, შე ოჯახქორი?! — მთელი ხმით იღრიალა სახმელეთო ჯარების სარდალმა ჭაჭუ ბაზუხაძემ. — გუხოვავ?! დანეკითი!!!

რეცისონმა ტელეკამერა სარდალსა და დიქტორზე გადართო. პირველი აკოვლებული დიქტორი ქალ დანავა მაგიდის ქვეშ იატაკზე, შემდეგ გაფითრებული პოლკოვნიკი მიუწავ გვერდით.

— ფანჯარაში გაისროლე! ფანჯარაში! — მოისმა მაგიდის ქვემოდად მისი ყვირილი.

თავზე ყურსაცემანაშობცმული, რეალობას მონყვეტილი ტელეოპერატორი პროფესიული სიმშვიდით და სისუსტით ავიქსირებდა ყოველივეს და ტელეობიექტის მზერა ისევ ვალერი ჭანკოტაშვილზე გადაიტანა, რომელიც აქეთ-იქით ტრიალებდა მომართული „მუხით“. ეტყობა, ფანჯარას ეძებდა, მაგრამ ტელესტუდის დახურულ, შიდა პავილიონში იმყოფებოდნენ, დახშულ სიერცემი

ტელეეთერში გამაყრუებელი ვრუსუნე გაისმა და გამოსახულება ტელეეკრანიდან გაქრა „რპგ-18-მა“, ანუ „მუხამ“ თავისი დანიშნულება თვალნათლივ დასამაგალიერად შეასრულა.

როგორც შემდეგ გაიკვია, კაპიტანმა ვალერი ჭანკოტაშვილმა, სულ ბოლო ნაშს მიავიწო ფანჯარას და ყუმბარმტყორცნის ლულა იქით მიუშვირა. ეს ფანჯარა

სატელევიზიო მრავალსერიანი ფილმის — „ოჯახური ბუდის“ დეკორაციის შემადგენელი ნაწილი გახლდათ და პავილიონის ბოლოში იყო გაკეთებული. „მუხამ“, როგორც კაპიტანმა ვალერი ჭანკოტაშვილმა განუმარტა ტელემეაყრებელს, „2000 გრამული ტემპერატურა განავითარა“, რის შემდეგაც „ოჯახური ბუდის“ მულერი ინტერიერი ცეცხლმა შთანთქ.

ტელევიზიის შენობაში სასწრაფო ევაკუაცია გამოცხადდა. სტუდიაში ხანძარი სამი საათის შემდეგ იქნა ლოკალიზებული, მერე კი — ლეკვიდირებულა. საბედნიეროდ, ყველაფერი უმსხვერპლოდ დამთავრდა

საინფორმაციო გამოშვების პროგრამამ სახავშეო გადაცემების პავილიონს შეაფარა თავი. ტელემეაყრებელი კი თვალნათლივმა მაგალითმა კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ „მუხა“ ანუ „რპგ-18“ მეტად სამიში, ყოვლისდაამანგრეველი იარაღია.

მატა პარი

— დავიჭირეთ, ბატონო მთავარსარდალო, დავიჭირეთ! — რიგითი ქემოკლივ გაჭიმულიყო კარებში; გაჭიმულიყო იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მისი დაბალი, ვანიერი ტანი იძლეოდა. თავზე მუზარადე ეტურა, რომელზეც აქკარად იკეთებოდა გადაღებელი ნითელი ვარსკვლავის კონსტრუქციები; მუზარადის ქვემოდად კი გრძელი, ბოლოში გაბრწყვლებული ცხვირი და წერილი თვალები მოუჩანდა. ყვირილი, გამჭვარტლულ-გაქონილი დაბამული ქურთუკი ეცვა, მხარზე უდიდრად მოეგდო კალამნიკოსის ავტომატი. დაბამული ვალიფე შარვლით და ფეხებზე ნითელი ფერის „ადიდასებით“ მართლაც გავდა თავის მეტსახელს — „იხვს“.

— ვინ დააკავეთ? — სიტყვა „დააკავა“ დამარცვლით წარმოთქვა მთავარსარდალმა, რათა გასაკვირ ყოფილიყო ყველასთვის, რომ ისა და მისი ხალხი კი არ იჭყრდნენ ვინმეს, არამედ აკავებდნენ. ადაჭრა“ მთავრობისა და მილიციის პრეროგატივა გახლდათ, სამხედროები კი აკავებდნენ მხოლოდ.

— მატა პარი დავიჭირეთ დეაკავეთ, ბატონო მთავარსარდალო!

— მოიყვანეთ! — მოკლედ მოჭრა მთავარსარდალმა. სქელ, უხეში შალისგან ნაქსივ სვიტერში გამოწყვედილი მსუქანი ტანი ტყავის ქაშერებს — საიდრეკებს შეებოჭა და ილეთელი ტყავისავე ბუდეეობი, სტეკინის სისტემის ორი პისტოლები ჩაუვადებუიყო, თითქმის ყავარჯენები.

დემოკრატიული ძალების მთავარსარდალს კვირაზე მეტი იყო, რაც მთავრობის სახლი მთავრობიანად პლყამი ყვავდა მომწყვედილი და ყოველდღივ, ყოველ დილით, იქნება და იმავდ დროს, მთავრობის სახლის ეზოში გვერდითა შესასვლელიდან მდდრობითი სტესის ერთი და იგივე წარმოდგენილი შედიოდა. როდის და რანაირად გამოშვდა იქიდან, არავის უნახავს. მებრძოლებმა მოუხელთებულ ქალს შეტახებულ „მატა პარი“ შეარკვეს.

რიგითმა ქემოკლიძემ ოთახში ჰჩერლ, კუბოკრულ შალში ჯვარდინად გადახვეულ-შეფუთული შუახნის შავგურმანინ ქალი შემოიყვანა. მას ორივე ხელში გრძელტარხან ცოცხი ჩაებულედა, ხელებზე ცალთითა, ყვითელი ტილოს ხელთათმანები ეკეთა.

მთავარსარდალმა „მატა პარი“ შეათვალერა. ქალს თავშლის ქვემოთ, თავის ერის ტრადიციისამებრ, რამდენიმე ქვედაკბა ეცვა.

— მდაა — მთავარსარდალმა ჩაის ჭიჭიდან სამარკო კონიაკი მოსვა და ქემოკლიძეს გადახვდა.

— გოგონებ არავინა მანდ?

— არიან, ბატონო მთავარსარდალო!

„მატა პარი“, იგივე ზარემბა კაკლოვეა, მეშვიდე თაობის მეუზოვე, უხმოდ იდგა შუა ოთახში, ცოცხის ტარს ორივე ხელითა და ნიკაბით დაწყურდნობლი.

— გაიყვანე, გაჩხრიკონ! — ბრძანა მთავარსარდალმა.

ორივე წითში კარსშიღმა გაურკვეველი ხმები გაისმა, კიდევ ერთი წუთის შემდეგ კი ოთახში რიგითი ქემოკლიძე შემოვარდა, რომელსაც თვალბანანთებული და ცოცხემ-მარაული მატა პარი შემოჰყვია. ქემოკლიძე მთავარსარდალის მაგიდასთან მიდგმული გრძელი სათათბირო მაგიდის კუთხეში მიყუცა.

— რა ხდება აქ? — ფეხზე წამოხტა მთავარსარდალი და უნებურად მარჯვენა ხელი იარაღზე წაივლო.

— ვინ არი შპიონი? ზარემბა შპიონია? შპიონი და გოთვერანნი შენა ხან? — მიახალა ზარემბა კაკლოვეამ მთავარსარდალს. შავი თვალებიდან ღამის ელვას აკვეცებდა.

— ქალბატონო! — ხმას აუწია მთავარსარდალმა.

— ქალბატონი სახლში გეყოლებას — არ ცხრებოდა ქალი. — ვინ არი შპიონი? მე მუშა, მშრომელი ადამიანი ვარ! — ცოცხი აღმართა და ქემოკლიძისკენ გაიწია. — ქალბატონო! — იგივე ხმით გაიმეორა ქალმა. — ქალბატონი კი არა ზარემბა ვარ, კაკლოვეა ვის იქირავ? ზარემბას იქირავ, მუშა ადამიანს!

— ეს აღმოაჩნდა. — ჩაერია ქემოკლიძე და მთავარსარდალს გახეტში გახვეული მომცრო ფუთა დაანახა.

— რა არის შიჯ? — იკითხა მთავარსარდალმა.

— არ ვიცი, ბატონო მთავარსარდალო! უნებართვოდ ხომ არ გავხსნიდი?

— მატა აქეთ! — მთავარსარდალმა ფუთა ჩამოართვა, მაგიდაზე დაადო და გახუთი შემოცალა: შავი პურის ყუა, ორი მოზრდილი თავი გაფცქნელი ხახვი, ასევე გაფცქნელი ერთი კიბილი ნიორი იყო გახუთში გახვეული.

— რა გინდოდა იქ? — ჯიქურ კითხა მთავარსარდალმა ზარემბას და თავი მთავრობის სახლისკენ გაიქინია.

— როგორ, რა მინდა? — გაიკვირა ზარემბა კაკლოვეამ. ზეღმართული ცოცხი დაუშავა. — მე იქ მუშაობ, გვი, გვი

— რა დროს დაგვია, ქალი? — იფეთქა მთავარსარდალმა. — ვერ ბედავ, რა ხდება? ტყვია რომ მოგხვდეს? პატრონი არ გყავს?

— პატრონი შენ არა ყავს. — მოუჭრა ზარემბა კაკლოვეამ.

— აბა, აბა! — ხმა ამოიღო ქემოკლიძემ.

ზარემბა კაკლოვეამ დამცინავი, გამანადგურებელი მზერით დახედა ქემოკლიძეს.

— ყველა სერის, სერის. — მიუბრუნდა მთავარსარდალს. — „ბიორკები“ ყრის, „პაჩკები“ ყრის, ქალადები ყრის, ნავეი ყრის! ზარემბა კი გვის, ყოველ დღილი გვის! — განაცხადა ბოლოს.

— რა დროს დაგვია, ქალი? — გაუმეორა მთავარსარდალმა.

— დაგვის დრო ყოველ დღილსაა. — განუშარტა ზარემბამ. — მე რო არ დაგავო, აბა მთავრობა შენ დაგავო? — იკითხა გამომწვევად.

— შენ ნუ დარდობ, ქალბატონჯან, ამ მთავრობას უშინდავ დავგვი და გახვევტავ. — თქვა მთავარსარდალმა და უფერად გაშინარულდა. — ნაღი ახლა სახლში და ყველას, ნაცნობსა თუ უცნობს გადაეცე ჩემს მაგივრად, დემოკრატიული ძალები და დემოკრატიული ფრონტი გვის მთავრობას-თქო! — თეხის-მონოდებდა განაგრცო და ჩამოაყალიბა თავისი ნათქვამი მთავარსარდალმა.

ზარემბა კაკლოვეა უხმოდ, ამკარა ექვით, უნდობლობით უყურებდა ორივე იღლიაში პისტოლეტებგანრილ კაცს.

— ცოცხი დაგოვო? — იკითხა ბოლოს.

— რა? ცოცხი? — სიცოლი ნასცდა მთავარსარდალს.

სიცოლი რიგითი ქერმოკლიძეც აპყვა, თანაც უფრო ხმამალა.

ზარემბა კაკლოვეა იდგა და ისევ უნდობლად უყურებდა ახარხარებულ მთავარსარდალსა და რიგითს.

— ცოცხი, უპ, ცოცხი!.. — სული მოითქვა მთავარსარდალმა. — აი ჩემი ცოცხი! — „სტეჩკინი“ ვაირო მარცხდა იღლიდან და ხელში შეათამაშა. — იცა როგორ გვის! — შეეკითხა ზარემბას.

ამოღებულ იარაღის დანახვაზე ქალი უკუსვლით დაიძრა პარსკენ.

— მიცვა, მიცვა, ნუ გეშინია შენნაირებს არა გვის ჩემი ცოცხი. — მთავარსარდალი მაგიდის უკან დადგმული დიდი ზომის მაცვირისკენ მებრუნდა, გამოალო და შეზღოლი ძეხვის მოზრდილი გადანაჭერი, ცელოვანში გახვეული, გაუსხელი ჰოლანდიური ყველის თავი, რამდენიმე „სსიკინი“, ხუთი-ექვსი ქოლა თევზისა და ხორცის კონსერვი გადმოიღო. ყველაფერი ეს კონიაკის ცარიულ მუყავს ყუთში ჩაყარა, შემდეგ მაგიდისკენ შემობრუნდა, ხახვი, ნიორი და პური ისევ გახუთში შეხვია და ისინიც ყუთში ჩაალაგა.

— გაიტანე! — ყუთზე ანიშნა ქემოკლიძე. — ეს ქალბატონს ჩენგან. მანქანით ნაიყვანეთ სახლში!

ზარემბა კაკლოვეა და იღლიაში ყუთამოღებულ რიგითი ქემოკლიძე ოთახიდან გავიდნენ.

მეორე დღეს, ადრე დღილი, მთავარსარდალს მოახსენეს, რომ მატა პარი ჩვეულებისამებრ შევიდა ალყამეორტყმულ მთავრობის სახლში ეზოს დასაგველად.



— შეწყვიტეთ სროლა! არ ისროლოთ მანამ, სანამ არ დაგვის და არ წავა! — ბრძანა მთავარსარდალმა. მისი ნათქვამი მთავრობის დავისა და გახეტის შესახებ მთელი ქალაქისთვის იყო ცნობილი უკვე და „შატა პარი“, ანუ მეგობრულ ზარემბა კავალთა, ნებისთი თუ უნებლიეთ, მისი თანამებრძოლი გახლდათ.

პაროლი

დემოკრატიული ძალები თავისი ჭრელი სამხედრო ფორმირებებით ცირკთან და მის შემოგარენში იყვნენ დისლოცირებული. იარაღი საკმაო ჰქონდათ, ტყვიანამალი აუარებელი, დღედაღამ ჭამდნენ, სვამდნენ და ისრადნენ. როგორც სამოქალაქო პირებს ჩვევიათ, სროლა ეხალისებოდათ და არც არავინ უშლიდათ; პირიქით, დემოკრატიული ძალების მთავარსარდალიც და ასევე სამხედრო შტაბის უფროსიც ამ გაუთავებელ კაკაფონიას მონინააღმდეგის ფსიქოლოგიური დამუშავებისა და მასზე ზემოქმედების საშუალებად მიიჩნევდნენ.

იქიდანაც ისროდნენ, მოავრობის სახლიდან, მაგრამ კანტიკუნტად, ეჩინადან ალყაში იყვნენ მოქცეულები და მესამე მხარე, ანუ გაუქმბელი ქვეყნის — სსრკ შეიარაღებული ძალების გენერალ-სპეკულანტები თავისი გადაჭრული სანაშობებიდან ვერც იარაღს აწვდიდნენ და ვერც ტყვიანამალს.

გვრთნი მოედებული, დემოკრატიული ძალების მემშვიდე ბატალიონი ნოედნის კიდზე მდგარ დიდ საცობერბელ კორპუსთან იყო განლაგებული. ბატალიონის წევრებს სახლის ყრუ კედელთან, პატარა სკვერში, ბავშვთა სანათამო მოედანზე, სატანებებს შორის კოცონი დახეთო; გრძელ, მუქმწვანე იარაღის ყუთზე არაყი, ლუდი, ღვინო, პური, ყველი, ძეხვი, კონსერვები დაიბავებინათ და ყისაც რა უნდოდა, იმას ჭამდა და სვამდა. ხოლო თვით საგუშაგო პოსტი ოციოდ მეტრში ზღის ბურქებში ჰქონდათ მოწყობილი; ექვსი ქვიშით საცე ტომარა, ხელის ტყვიამტრქევი და ორი ჯარისკაცი, რომლებიც ყოველ საათში იცვებოდნენ. საგუშაგოდან მთელი მოედანი ჩანდა — უკაქვოლად და გარეგანაბრების ბოძებზე შერჩენილი დამპირებისგან ალგა-ალგ განაშობული (თითქოს შავ-ყითელი ფარდავი გადაფარებული).

იარაღის ყუთთან, სუფრანზე კი ცილობდნენ ნაკლები ეხზაურათ, მაგრამ ნასაგუმბსა და შესაბამისად, ეგზალტირებულებს, კონსპირაციულობა არ გამოსდითოდათ.

მემშვიდე ბატალიონი მთლიანად ქალაქელი მოხალისეებგან შედგებოდა და მისსახლეობის თითქმის ყველა სოციალურ ფენას წარმოადგენდა — ასაკობრივი ამპლიუდითი ჩვიდმეტრიდან სამოცდახუთ წლამდე.

დისციპლინის საერთოდ არ ცნობდნენ. ვისაც როდის მოესურვებოდა, მაშინ ტოვებდა ბატალიონს, მიდიოდა სახლში ან სადმე, მხოლოდ მთხოვის ცნობილ საქმეზე. ნასაგუმბის წინ მეთაურს აფრთხილებდნენ მხოლოდ; ნებართვის კი არ სთხოვდნენ, არამედ, უბრალოდ აფრთხილებდნენ. ბატალიონში ხელცარიელი არავინ

ბრუნდებოდა; ვინ იცის, საიდან და როგორ, ზოგს რა პროდუქტი მოჰქონდა, ზოგს — რა სასმელი. ყველავერ მოტანაღს კი იარაღის ყუთზე აწყობდნენ საერთო სარგებლობისთვის. არცთუ იშვიათად, ბატალიონიდან უფითი წასული მსუბუქი მანქანით ბრუნდებოდა და გულგრლოდ ავადებდა მანქანის მძღველს მანქანისავე კაპოტზე. ესეც საერთო სარგებლობისთვის. დიდი გამჭირაობა არ ჭირდებოდა იმის მიხედვრსა, რომ მოყვანილი მანქანა სხვისი იყო.

მიუხედავად ანარქიზმისა და არადისციპლინირებულობისა, ბატალიონის წევრები მეთაურის დავალებებს დიდი მონდომებით და რალაცნაირი ეგზალტირებული სისხლისით ესრულებდნენ; ჯერ-ჯერობით მათთვის ყოველთვის კარგობისა და დროსტარების მშვენიერი საშუალება გახლდათ.

იარაღის ყუთთან შუა ქვიშ იყო, როცა გუშაგმა პოსტების სუთონი ჯარისკაცი მოიყვანა; სრულიად ეკიპირებულს თავზე მუზარადი ეხურა, თითქოს მხრებზე ედგა. მუზარადზე გადადებული ისთელი ვარსკვლავის კონსტრუქტი იკეთებოდა. გრძელი, ნაცრისფერ-საცელიანი კამუფლირებული ქურთუკი ტყავის მანძით გადაეჭრა და მარჯვენა მხარზე გადაკიდებულ მისიონის სისტემის გრძელი შაშხანა ქამრით ორად გაყოფილ სხეულს უფერო დაბალს აჩენდა.

— საფეოლი! ტყევი მოიყვანე. — უმატაკა ყუთის თავში მდგომ ასეულის მეთაურს გუშაგმა. — პაროლზე არ გვიპასუხა!

საველიჩმა, იგივე გენო რამშივილმა, ქალაქის ერთ-ერთი ძველი უზნის ავტორიტეტულმა პირმა, რომელმაც ჯარი და არნა კონიულიმბიდან თუ იცოდა მხოლოდ, ექვით მთავოლიერა მოყვანილი. მხარზე გადაკიდებული შაშხანა აშკარად არ ეთანხმებოდა ტყევიობის სტატუსს.

— პაროლი! — მოკლედ მოჭრა.

გუშაგის მიერ მოყვანილმა ჯარისკაცმა სუფრას და მის წევრებს თვალის მოაველო და მხერა პასუხის მომლოდინე საველიჩზე შეაჩერა.

— რის პაროლი, ბატონო? ხალხი არა ხართ? ერთი არაყი დაბოლოდინეთი! — თქვა უცებ სხეულთან შედარებით მოუღუნულად მაღალი ხმით.

სუფრა ახმაურდა, დაძაბულობა მოიხსნა, სანამ უცნობის ვინმე ჭქას მიანდოდა, საველიჩმა თავისი ჭქა გაუნოდა.

— სიმნარე გვაშოროს ღმერთმა, კარგად იყავით! — დაილოცა ჯარისკაცი და არაყი გადაქრა.

ჭქა დადგა თუ არა, რამდენიმე ხელმა ყველი, ძეხვი და პური მიანოდა. ადგილიც გაუთავისუფლეს საველიჩის გვერდზე. ჯარისკაცმა თავზაზანად მოიხსნა მადლობა, მუზარადი მოიძრო და თითქოს დაბადების მონომობა წარადგინა: იყო წლის თუ იქნებოდა, მოკლედ შეკრეჭილი შავი თმით, შავი თვლებით, ქურთუკის სრული საყველოდაც წერელი კისერი მოუჩანდა. შაშხანა მხრიდან მოიხსნა, ჩამოვლი და თოფი მუხლებსუზა ჩაიდგა.

— რა უნებლი ხარ? — კითხა საველიჩმა.

— საჩინერელი ვარ, გოდერძი ბაბილოძე, საჩხერის ბატალიონის რეგითი! — უპასუხა ჯარისკაცმა. — დაზურვავზე გამოგვიქვს სამი კაცი.



— მერე?
— რა მერე? თქვენ რა დაზევება გინდათ, რამეს მალავთ თუ? — აშკარა ვაკვირვებით შეუბრუნა კითხვა.

იარაღის ყუთთან მსხდომი ჩაეცინათ.
— მართალი ხარ, ძმაო. ზვენი დასამალი არაფერი გვაქვს! — საველიჩმა თავისი ასეულის წევრებს გადახედა. — იქ რა ამბავია? — მთავრობის სახლისკენ გაიქინა თავი. — რას ფიქრობენ, არ უნდა მიხებდნენ წასვლას?

— მე ვინ მკითხავს? ისე ბიჭები ამბობენ, თვითონ პრეზიდენტს წასვლა უნდა, მაგრამ სხვები არ შევრბიანო... ჩვენი კი გვეუბნებიან, მალე დახმარება მოვაო. — გოადრძი ბაბილოძემ სუფრაზე მსხდომთ მოავლო თვალი.

— მაგათ არავინ დაეხმარება ანო — საველიჩმა ჭიქა შეავსო და გაუწოდა.

— ასე მგონია მეც. — გოადრძი ბაბილოძემ ჭიქა ჩამორთვა და ფეხზე წამოდგა. — ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს! — ჭიქა აწია. — დღერთმა ჩვენს ქვეყანაში პაროლი ნუ დაგვაჭირვოს ნურასდროს!

იარაღის ყუთთან სიმუქე ჩამონვა, პატარა ჯარისკაცის ბოლო სიტყვებმა აშკარად გავლენა მოახდინა. ყველამ საველიჩს მიაპყრო მზერა, რომელიც ჩაფიქრებული უყურებდა გოადრძი ბაბილოძეს.

— ჩვენიც ხომ არ დარბობ? — კითხა ცოტა ხნის შემდეგ. — ვადმოდი ჩვენიან.

— არა, პატრონო, ვერ ვადმოვალ. ფიცა მიქვს დადებულ ეროვნულ ჯარში; რომ ნამოგვიყვანეს, დროშაზე დაგვაფიცებ! — გოადრძი ბაბილოძე ისევე ფეხზე იდგა. — გამიმეება?

— ნაი! — საველიჩი ისევ ჩაფიქრებული იყო. — ნაი, ოღონდ სახლში ნაი, საჩხერეში. რა გინდა ან აქ, ან იქ?.. საქმელ-სასმელი გაატანეთ! — მიუბრუნდა სუფრის წევრებს.

რამდენიმე ხელმა დაუყოვნებლივ ჩაანყო ცელოფნის მოზრდილ პარკში არაყი, ლუდი, ძეხვი, ყველი და კონსერვის რამდენიმე ქოლა.

— დიდი მადლობა, კარგად იყავით! — საჩხერის ბატალიონის რიგითს — გოადრძი ბაბილოძეს შაშხანა ისევე მხარზე გადაეკიდა, თავზე მუზარადი ეხურა, მარცხენა ხელში კი სურსათ-სანოვავით სავსე ცელოფნის პარკი ეჭირა. დიმილით მოავლო მუხარ იარაღის ყუთთან მყოფთ, შებრუნდა და მოუდინსკენ წავიდა...

— სახლში ნაი, საჩხერეში! მოკიდე ხელი შენი ძმაკაცებს და ნაი! — დადავლას საველიჩმა. — მატარებლები ჩვეულებრივად დაიბან!

გოადრძი ბაბილოძე მოზრუნდა, ხელი დაუქინა ყველას და მოდინაზე შეფენილ შუქ-ჩრდილებს გაუყვია.

იარაღის ყუთთან — სუფრაზე, სმა-ჭამა გაგრძელდა. „კაი ტიპი იყო!“ — თქვა ერთმა.

— აი, ესე აკრიფეს სოფელ-სოფელ პატარა ბიჭები და ხელში თოხები დაატყორცეს! — თქვა მეორემ.

თითქმის ყველამ გამოთქვა თავისი აზრი, საველიჩი კი იჯდა, სიცარტს ეწეოდა და ჩაფიქრებული დასცქეროდა სივარტის ნაშენებთან სავსე თუნუქის ქილას — საფერფლეს...

დილით მეშვიდე ბატალიონის მეთოხე ასეულის მეთაური გენო რამიშვილი ისე წავიდა სახლში, რომ არც ბატალიონის მეთაურისთვის და რაც სხვა არავისთვის უთქვამს რაზე; არც იმ დღეს დაბრუნებულია და არც მეორე დღეს...

ერთი კვირის თავზე მეშვიდე ბატალიონში ვიღაცამ ამბავი მოიტანა: რესტორან „ქალაქურში“ მთავრალ საველიჩი — გენო რამიშვილი, მთელი დარბაზის გასაგონად ყვიროდაო, იმ ხალხის დედა ვატყრე, საკუთარ სამშობლოში პაროლს რომ დაანესებს ადამიანებს შორისო...

დიდი ქალაქის პატარა სტუმარი

ბექო აფციაური, თვრამეტი წლის, სამთავრობო ჯარის რიგითი, შუადღისას მოკლეს.

კედელს მიყრდნობილი იჯდა სხვებთან ერთად მთავრობის სახლის შიდა ეზოში და კონსერვის გახსნილ თუნუქის ქოლაში პურს ფრთხილად აწობდა, თითები რომ არ დაეცვარა. მადიანად ილუქკებოდა, მთლიანად მიწოდებოდა თევზის კონსერვს და მან პურს, როცა ქოლა ხელიდან გაუვარდა. ტყვიან კედლის ქონგურზე ასხტდა, თავში მოხვდა და ჯარისკაცის გულში დაასრულა თავისი გზა, დაასრულა რა ბექო აფციური თვრამეტწლიანი მოუღწინება სიცოცხლეში და მისი ხანმოკლე, ერთთვიანი სტუმრობა დიდ ქალაქში, რომელშიც პირველად იყო. მითანი რაიონის ერთ-ერთმა პრეფექტმა ჩამოიყვანა ის და ათიოდე მისი ტოლი, მთა-მთა, სოფელ-სოფელ შეგროვილები; ჩამოიყვანა საკუთარი ერთგულების დასამტკიცებლად და მთავრობის დასაცავად.

კედელს ზურგიტ მიყრდნობილი ბექო აფციურისთვის ყურადღება არავის მოუქცევია, ყველას ეგონა, რომ ბექოს ჩაეჩინა და შემდეგ, როცა მეთაურის ბრძანება გაისმა, ხოლო ბექო აფციური, როგორც ყოველთვის, ყველაზე სწრაფად არ წამოხტა ფეხზე, მაშინდა მოაციტეს ყურადღება ჯარისკაცის უსულო, გამებმულ სხეულს. ირგვლივ შემოვიხივნენ და მდუმარედ უყურებდნენ. ექიმ-იც მალე მოვიდა, საძილე არტერია გაუსინჯა, პატარა სარკეც მიუტანა ცხვირთან, მერე წამოდა და მზერა არიდებულ უხმოვად გაეცალა იქაურობას.

მეთაურის ბრძანებით, ბექოს პატარა, მზატე სხეულს დაერბო, სარდაფში ჩაიტანეს, სადაც ვრცელი სასაბულო დარბაზის გვერდზე დიდი მაცივარ-საკნები იყო განლაგებული. ჯარისკაცს ხელები, ფეხები და ნიკაპი ბინტიან გაუტერეს, იატაკზე ფარავა გაშალეს და ფრთხილად დაასვენეს ჭირბოიან სიცოცხლე. ვიღაცამ ყავისფერი, ნიკელის საეკეტებიანი, ბექოსავით მსუბუქი ჩემოდანი მოიტანა და ფეხებთან დაუდგო.

ბექო აფციურის მეთაურმა კარგა ხანს ატრიალდა ჯარისკაცის პირადობის მონიშნა ხელში. მერე დაიხარა და მიცვალებულს გულისკენი მიწადა, ფრთხილად შეუვარა ლლი, თითქოს ეგონოდა, არ გაევიწყლებინა და



ჩქარი ნაბიჯით გავიდა მაცვივრიდან. ყველანი მიყენენ. მაცვივრის დიდი კარი უხმოდ დაიკეტა.

ფარი და მახვილი

კალამნიკოვის სისტემის ავტომატების ტკაცვატკუცს მსხვილკალობრიანი ტყვიამფრქვევების გრავანი აზავებდა, რასაც შიგადაშინგ შაშხანის მჭახე ხმა კვეთდა, ხოლო ყოველი ხუთნუთიანი ინტერვალით სამოცდახუთმეთ-მილიმეტრიანი ქვემეხი ყვფდა. ორივე მხარე ისროდა. ესროდნენ ყველაფერს — უძრავსა და მოძრავს, სულიერსა და უსულოს

თავდაზსხმელნი დემოკრატიას ამკვიდრებდნენ, თავდაშველნი — დემოკრატიას იცავდნენ, ანუ, მარტივად და გასაგებად: ერთნი ძალაუფლების მოპოვებას ცდილობდნენ, მეორენი კი იცავენ შენარჩუნებას და, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ორივე მხარე ხალხის, დემოსის კეთილდღეობის სახელით მოქმედებდა. დემოკრატია — დემოკრატია: ფარი და მახვილი ერთად!

მთავრობის სახლისწინა მოედანზე კი, ერთმანეთისგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, იმავე ხალხის ორი წარმომადგენელი ინვა მტკრიან ასფალტზე — ოციოდე ნიღს ბიჭები. ერთს სამხედრო ფორმა ეცვა, რომელიც სრულად ჰქონდა, ხელენი ტანზე მიეკრა, ქუსლები ერთად, როგორც ბრძანების „სწორად!“, შესრულებისას, თეალები ღიად დარჩნოდა, გაყინული, გაკრივებული მზერით გასცქეროდა დად ქალაქზე დამოხილ ცას.

მეორე მოკლული გვერდზე გადახრლიყო, ორივე ფეხი მოეხარა, რაც უდავოდ მინიშნებდა, რომ ტყვია მუცელში მოხვედროდა. თეალები დაბუჭდნენ, მარჯვენა ხელში შავი, ნაესლევი თაღფაქი ქუდი ჩაებლურვა, ჯინსები და დაბამბული, ნაცრისფერი ქურთუკი ეცვა, ფეხზე კი კონტრასტული, ტყავის ყვივილანაზებიანი, შინდისფრად მზზხანი ფეხსაცმელები — „ინსპექტორები“.

პირველმა ბოლომდე დაიცვა თავისი წილი დემოკრატია, მეორემ კი თავისი წილის დამკვიდრება ვეღარ მოასწრო და ინგენე ერთმანეთისგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით ტყვიებსა და ყუმბარების დღეგამში.

ორმხრივი სროლა უეცრად შეწყდა, უცნაური სიჩუმე ჩამოვსა. მოედანზე ხანმოშუალი წვეული გამოჩნდა: ქალი და კაცი. უჩვეულოდ მოძრაობდნენ, თითქოს არც ეხებოდნენ ქვაფენილს. კაცს გრძელი, შავი პალტო ეცვა, ორმისი მშალდი საყვლი თეთრი შარფით შევერა; ქალს თეთრი ფერის, კაპიუშონიანი, დათბილი ლბაბად ეცვა, ყელი მუქი შარფით შეეფუთა, ოქროსფერი, ხშირი თმა მხრეებს უფარავდა და გადახდილი კაპიუშონი ავესო.

წვეული მოედნის შუამდე მივიდა. მოკლულ ჯარისკაცთან დახარა ორივე. ქალმა შუბლზე ხელი იშალა და ზემოდან ქვემოთ, უშუბლად ნიკაბამდე — თეალები დაულოტა. კაცმა იქვე დაგდებული ეროვნული დროშის ნახვეი აიღო და გვაშს სახეზე დააფარა. მეორე მოკლული გულადმა ამოაბრუნეს. ქალმა მიმოხიდა,

შემდეგ ყელიდან შარფი მოიხსნა და მიცვალებულს თავი სათუთად მუხუტია. მერე წამოდგნენ, წელში გაიზარდნენ და მთავრობის სახლისკენ მიბრუნდნენ. ჩუმად, უტყვად უყურებდნენ ავი იდუმალებით მოზნარად შემგზამს-ხერეულ ფანჯრებს. შემდეგ თავდაშხმელებისკენ შებრუნდნენ, სახეების ნაცვლად თითქოს ფთერი წიღებები და თეალების ქროლში უძირო, უსასრულო სევდა და ნუხილი.

სანიტარული დღე

ეკრთ ნოდებულმა, დემოკრატულმა ძალემა ქალაქის საპკრობელო აიღეს.

არავის გაუჩვენია წინააღმდეგობა — ციხის ადმინისტრაციამ თავისი ზედამხედველნიანად გაქცევა მოახდა და მოასწრა, და რახან ყველა საკნის ვახადები ციხის უფროსის კაბინეტში, მანდავზე, თვალსაჩინო ადგილას იდო, არავის მოხვლია თავში აზრად მაიო ძებნა — არ ჭირდებოდა...

კრიმინალურ სამყაროში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული იერარქული მდგომარეობის მიხედვით, პირველები საკნებიდან კანონიერი ტურდები გამოვიდნენ თავის ამფსონებთან და „ექსისანებთან“ ერთად ყოველ მათგანს ციხის ეზოში მსხუტუკი მანქანა ელოდა. ციხის არისტოკრატისი ხელში „აობილატნიები“ და სხვადასხვა რანგის ავტორიტეტები ეზიარნენ თავისუფლებას, შემდეგ „კიდალიკები“ და თალითები, მერე „ფაშისტები“ და საყოფაცხოვრებო დანამაულზე მსდომი, მერე სხვადასხვა წერტილმან დანამაულზე, ფაქტობრივად, არაფერს გვაშ მსჯავრდებულნი და სულ ბოლოს, საპკრობილემ თითქოს ამოფურთხა მცველები, ავაზაკები, მოძალადეები, მანიაკები, პედერასტები და ათასი ჯურის ვიკიბიანი-ნაიბრები. დემოკრატული ძალეების სამხედრო შენაერთებმა ამ უკანასკნელთა სახით საიმედო შეესება მიიღო, რომელსაც დემოკრატისიათვის მებრძოლთა რიგებიდან უნდა განედგნა დემოკრატული ილუზიებით ატაცებული იდეალიზმი — მისასეს-რულელება და უკვე გამოყენებული მოქალაქენი; უზრუნველყო, ხელში აიღებდა ძალაუფლებას შენარჩუნება, დამკვიდრება ჭირდებოდა და ეს შეესება იდეალურად გამოდგებოდა საამისოდ; თუხოს: „რეკლუციაცზე ფიქრებზე და აკლემებზე იდეალისტები, სარგებლობენ კი — ნაიბრლები!“ ძალაში შევიდა.

— დღემდე ქალაქში ვახადებით სანიტარულ დღეს! — ბრძანა დემოკრატული ძალეების მთავარსარდალმა. — არავითარი მიტინგი! არანაირი მანიფესტაცია! არანაირი დანდობა ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერთა მიმართ! ხალხი, მოსახლეობა დაილალო, დაიქანცა ამ გაუთავებელი მიტინგებითა და ლოზუნგებით, მივცეთ მოქალაქეებს საშუალება მშვიდად მუშაობისა და დასვენებისა!

ქალაქში განვითარებულმა შემდგომმა მოვლენებმა კი კიდევ ერთხელ დაადასტურა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ უხსარად დროიდან ყოველთვის სისადავლ ხალხის კეთილდღეობის სახელით კეთდებოდა მუდამ.

ძალაქელავი

გვამებს ფოტოსურათებზე მშვიდი, გამჭვირვალე და დაწმენდილი მზერა შერჩენილია.

— რომელიმე ამოცანაზე? — ჰკითხა გამომძიებელმა გიზო ბურჯანაძეს, ოცდაჩვიდმეტი წლის ინჟინერ-მშენებელს.

— აი ეს. — სამიდან ერთ-ერთი ფოტოსურათი გაუნოდა და გამომძიებელს გიზო ბურჯანაძემ.

გამომძიებელმა სამივე ფოტოსურათი გამოართვა, ამოცნობილს დახედა. — დარწმუნებული ხართ? — თვალბში შეხედა გიზოს.

— კი, ეგ იყო.

— დანარჩენი ორი? — გამომძიებელი მავიდას მიუჯდა და დაკითხვის სუფთა ოქმის შექცევა დაინახო.

— მაგათი სახების დანახვა ვერ მოვასწარი. სამი რომ იყვნენ, ეგ კი ნაღდად ვიცი.

— საიდან იცი, რომ სამი იყვნენ?

— ჯიხურეთთან რომ მივედი, სამიოდ მეტრში იდგნენ, შორიდანვე შევინიშნე.

— კარგი, მეფე?

— სამი ბოთლი არაყი ვიყიდე ჯიხურში, ერთი ძეხვი და ერთიც ზეთისბილი. მანქანასთან რომ მივედი, მაგან, — მაგინდა ზე დადებულ ამოცნობილ ფოტოსურათს დახედა გიზო ბურჯანაძემ. — სიგარეტი მოხოვა და როცა ჯიხურში ჩავიყავი ხელი, მაშინ ჩამარტყეს უცნიდან რაღაც თავში. მერე არაფერი მახსოვს.

— არაყი დაგვხმარათ? ქუჩაში არაყინ იყო?

— არა, გონს რომ მოვედი, ჩემი მანქანა აღარადა იყო, ჯიხურში დავიკეტათ უკვე.

— რატომ არ განაცხადეთ მილიციამში?

— რა ვიცი. არაფრის თავი არ მქონდა, პირდაპირ სახლში წავიდა.

— მერე?

— არაფერი. ამ დილით ტელევიზორში აჩვენეს ჩემი მანქანა და მოვედი.

— მანქანის ტექნიკური პასპორტი თან გაქვთ?

— კი. — გიზომ ჯიხურდან საბუთები ამოიღო და გამომძიებელს გაუნოდა.

— თქვენ სახელზეა არა? — იკითხა გამომძიებელმა საბუთების გაცნობის შემდეგ.

— ცოლის სახელზეა. მინდობილობაც მანდ არის.

— ვხედავ. ქორწინების მოწმობა თან გაქვთ?

— სახლში გვაქვს, მაგრამ ჩემს პასპორტში ხომ არის აღნიშნული?

— არ არის საკმარისი. მაგის საფუძველზე მანქანას ვერ გაგატანთ. ქორწინების მოწმობის და მეუღლის დაბადების მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებული ასლები უნდა მოგვტანათ. მანქანის შექმნის ცნობა თუ გაქვთ, სულ კარგი და, რა თქმა უნდა, განცხადება უნდა დაწეროთ.

— მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება გვაქვს. როდის მოვიტანო?

— რაც მალე, მით უკეთესი. ოქმიც მერე შევავსოთ.

— ამათ რა მოუვიდათ? — ფოტოსურათებს დახედა გიზო ბურჯანაძემ.

— მოინაშლენ. — თქვა გამომძიებელმა. — თქვენმა ნაყიდმა არაყმა დახოცა სამივე. თქვენს მანქანაში ვიპოვეთ ესენივე და არყის ცარიელი ბოთლებიც. ექსპერტის დასკვნაც არის უკვე. რაღაც მხამისგან იყო არაყი დამზადებული. ისე, ბედი მაქვსო, შენ უნდა თქვა, მშალი მეროდა ხარ დაბადებული აი!

გიზო ბურჯანაძემ ხმა ვერ ამოიღო. გაოგნებული დასცქეროდა ფოტოსურათებს და თანდათან იაზრებდა, რა ელოდა მას და მის ძმაცაცს — ვაჟა ბურჯულს არყის დაღლივის შემდეგ, ამ ფოტოსურათებზე ასახული არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფების სამ წევრს რომ არ დაეცაზღებინა და მანქანა არ წაერთმია მისთვის.

სალამოს გიზო ბურჯანაძე და ვაჟა ბურჯული გიზოს სახლში, ლუჯიაში სუფრასთან ისხდნენ, ჭაჭის შინახაზე არაყს სვამდნენ და მომხდარიონ ეგ ზალტირებულებს სასმელი არ ეკიდებოდათ. მერამდენედ ულოცავდნენ ერთმანეთს სასწაულებრივ გადარჩენას.

— აბა, კაცო! — ამბობდა უკვე მეცხრედ თუ მეათედ ვაჟა ბურჯული — ჯგუფში, მხარბეჭიანი, შავწარბებგადაბმული, წვერებიანი კაცი. — არც შენ და არც მე ზომა ხომ არ ვიცით, სამივე ბოთლს დავცვლიდი აი!

— აბა, აბა! — ეკვრს უკრავდა გიზო.

— მილიციაც სალო!

— თათს მანეთი მივეცი ბიჭებს, არაფრის თავი არ მქვს და უჩემოდ ისადილეთ და დილით-მეთქი.

— კია გეძინა. რა ქნა მგათათაც? არეულია ზარის შემდეგ მის ძალი ბატონის ვერ ცნობს. ვერ ხედავ, მილიციებში „გლახოკიანი“ რკინის კარი დაკიდა ყველამ.

— აბა, კაცო? პირდაპირ მითხრა გამომძიებელმა: დროზე გაიყვანე მანქანა, თორემ მაგათი ძმაცაცები მოგეადგებიან „ბეტეკით“ და აიკლებენ აქაურობასო.

ნუნუმ, გიზოს მეუღლემ შემწვარი კარტოფილი შემება სუფრას. ჯერ კიდევ შთაბეჭდილების ქვეშ იყო და გაოგნებული მთვარეულივით დაბაიჯებდა. ტელეფონი განუწყვეტილი რეკავდა და ყოველი ზარის შემდეგ მის ქმარს თავსვადამხდარი ამბის მოყოლა უხდებოდა. ისევ დაშრეკა ტელეფონმა და ნუნუ ყურმილის ასალეება გაეუდა.

— ვაჟა, იცი, კაცო, — არყით სავსე ჭიქა აწია გიზო ბურჯანაძემ. — მოდი ამ ჭიქით იმათი შესანდობარი დავლიოთ.

— ვისი „იმათი“, კაცო?

— აი, დაღუპულების, მანქანა მოწვე წამართვა.

— შოო, მაგერი რომ არა, მშალი — ხელი ჩაიქნია ვაჟამ.

— შეუნდით ღმერთმა! — თქვა გიზო ბურჯანაძემ და ჭაჭა სულმოუთქმელად გადაკრა.

— ამინ! ღმერთმა შეუნდოთ! ჩვენს მაგივრად დაილოცენ, აბა?! — ვაჟა ბურჯულს კიდევ უნდაოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ისევ ჩაიქნია ხელი და სასმელი გადაკრა.

გიზო ბურჯანაძე და ვაჟა ბურჯული ქალაქელები იყვნენ, ნამდვილი ქალაქელები.



უკვე იმდენი ხანია იბეჭდება და იმდენად უხვად ეან. თეთრი ლექსები, რომ მალე ვერღობრი იქცევა ტრადიციულ ლექსად, სალექსო ფორმისადმი ამ მოძალანება თავისი ფსიქოლოგიური ფაქტორები აქვს... მაგრამ ხშირ შემთხვევაში იმდენად აგრესიულია ეს მოძალანება, რომ წინება განცდა — შემოქმედთა კასტად პოეზიის გამყინვარება გადაწყვიტა. არაფერიც არ გამოვა აქედან, რადგან ღრმა ადამიანური განცდები და ემოციები ბუნებრივია მაინც იპარებიან „სამიმი“ ზონიდან, მაინც აღწევენ ჩვენს გულუბანზე და მაინც აჩენენ საფიქრალს. ამის თვალნათელი ნიშნები ღელა კოდალაშვილის ტექსტებში განზობიერებული ნარმოხსახეებია. ამ ტრადიციურ უღმრთობისა და სიყვარული გამს რა თქმა უნდა ნდობით განგანჯიყობს თუნდაც ეს ღრმა და ფილოსოფიური შეკითხვა: „ეს სიზმარი ერთობა ცხადით, თუ ცხადს სჭირდება სიზმარი როგორც ერთადერთი ნამდვილი მონივე“.

მის მკითხველი ძირითადად როგორც პუბლიცისტს, ესეისტსა და პროზაიკოსს ისე იცნობს. სასიამოვნოა, რომ ხანგრძლივი პოეზიის მერე კვლავ უბრუნდება პოეზიის სანახებებს (აქ ნელზე მეტია ლექსი არ დაუბეჭდავს). დღევანდელი პუბლიცისტიდან უხვად შეიძლება არარაფინირებული, მნიშვნელოვანი სტროფების მოხიზება... მართო ის განცდა რად ღირს, რომ ამ იძულებითი დევნილობის, საყოველთაო გადაადგილებათა თუ აღიარების ვაშს ფეხს არ იცვლის თავისი მწუხარე სამშობლოდან. მისი სამშობლო მისი საღაროა: „ჰოდა დაესახლება იმ ყულაბაში... ერთადერთი, ყველაზე მსხვილი ოქროს მონეტისაგანია“. ისეთი ვაში დგას, მარალად ოქროს ფასი ედება ჩვენს გამძლეობასა და სამშობლოში ყოფნას.

ღელა კოდალაშვილი

ძილი ნებისა

რით ვეღარ გამოვალნივ,
 რით ვერ დასრულდა ეს ფაციფიფი —
 აქ ყოფნიდან იქ მყოფობაში,
 ყოველ ღამით რომ მივუვადებ ხოლმე სხეულს და ვამბობ —
 აბათ, თქვენი, სიზმრებო,
 ჩემი ტანი, ჩემი გონება და ჩემი გული.
 გაბარებთ და დილით ისევ უცნებელი დამიბრუნენთ,
 მანდ ნუ დაიტოვებთ,
 არ გაატანთ იმით,
 ვინც მერე იქ დაჩრენას მომთხოვს აქ დაბრუნების
 სანაცვლოდ.
 რადგანაც ვიცო,
 მუხავ გამოყოფენ — სულს იქ დატოვებენ, სხეულს კი
 ცხადში გადმოსივრია.
 რაც იქაური სინამდვილეა, იმას აქ თურმე ბედი ჰქვია.
 აქეთ ვერაფრით ვერ გადმომაქვს იმ სიზმრების
 იეროვლიფი.
 აქაურ ხმასაც ვერ ვანვდენ ხოლმე ჩემს იქითა თავს.
 რომელი ცხოვრება უფრო გრძელია,
 სიზმრის თუ ცხადის.
 ეს სიზმარი ერთობა (ცხადით,
 თუ ცხადს სჭირდება სიზმარი, როგორც ერთადერთი
 ნამდვილი მონივე.
 იქაურ ამბებს ებნე აკონინებს,
 იქ ახახამს ღამებდა...
 და რომელია სინამდვილე,
 რომელი ერთი ბიოგრაფია მოვეყვებითეი ნარდგომისას.
 სიზმარში ვცხოვრობ,
 იქვე ურცხვად ვლაღატობ ცხადს და
 ამცხოვრებაგამოცდილ გულსაც იქვე ვტოვებ.
 და ეს ღალატი (ცხადში უფრო ერთგულს მდის, უფრო.
 უბრალოდ ერთგულს,
 არ ვიცო, რისი...
 გადმონერლი სიზმრების როლს კი აქ ვასრულებ.
 ან უბრალოდ არტერია ვარ საიქიოდან სააქაოში,
 გააქვს და გამომაქვს სისხლი და ჭორი, მაგრამ მაინც
 ვერაფერს ვხდები.
 და როცა უკან დასაბრუნებელ გზებსაც სიზმრები

გადაბირებენ,
